- **რომელ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ხდება სწავლის საფასურის დაფინანსება?**

  სწავლის დაფინანსება ხდება აკრედიტებულ ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.

- **რომელი კატეგორიის სტუდენტებს აქვთ დაფინანსების მიღების უფლება?**

  დაფინანსების მიღების უფლება აქვთ:

- სამსახურის ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ ვეტერანებს;
- სამსახურის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს და მარჩენალდაკარგულებს;
- ომის შემდეგ გარდაცვლილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანთა შვილებს;
- სამსახურის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ ვეტერანების შვილებს.

- **რომელი უნივერსიტეტების სტუდენტებს უფინანსდებათ სწავლის საფასური?**

  სწავლის საფასური უფინანსდება სტუდენტს, რომელიც ერთიანი გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკრედიტებულ ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამაზე, გარდა იმ სტუდენტებისა, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე 2026-2027 სასწავლო წლიდან სწავლობენ იმ უმაღლეს საგანმნათლებლო დაწესებულებებში, სადაც სტუდენტის სწავლის საფასურს სრულად აფინანსებს სახელმწიფო, ასევე საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მიღების უფლების მქონე სტუდენტებისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოპოვებული დაფინანსება სრულად არ ფარავს სწავლის საფასურს.

- **სად და რა ფორმით უნდა იქნეს წარდგენილი განცხადება და შესაბამისი დოკუმენტაცია დაფინანსების მოსაპოვებლად?**

  დაფინანსების მოსაპოვებლად, განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ცენტრალურ

ოფისში, თბილისის რაიონებში განთავსებულ წარმომადგენლობებში ან რეგიონულ სამმართველოებში, მატერიალური ფორმით.

- **რა დოკუმენტაციის წარდგენა არის საჭირო დაფინანსების მისაღებად?**

  დაფინანსების მოსაპოვებლად, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში ან მის ტერიტორიულ ორგანოში, განცხადებასთან ერთად, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

  - ✓ სტუდენტის საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი;
  - ✓ სტუდენტის დაბადების მოწმობის ასლი;
  - ✓ ვეტერანის მოწმობის ასლი;
  - ✓ ვეტერანის საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი;
  - ✓ გარდაცვლილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანი მშობლის შემთხვევაში, დამატებით - გარდაცვალების მოწმობის ასლი.

- **დაფინანსების მისაღებად საჭიროა თუ არა დოკუმენტაციის წარმოდგენა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან?**

  სტუდენტს არ ევალება დოკუმენტაციის წარმოდგენა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან. განცხადების განსახილველად საჭირო სხვა დოკუმენტაციის/ინფორმაციის გამოთხოვას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან უზრუნველყოფს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური.

- **როდის არის განცხადების შემოტანის ბოლო ვადა?**

  განცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2026 წლის 2 ოქტომბერი. წარმოდგენილ განცხადებაზე ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, განმცხადებელი ვალდებულია დადგენილი ხარვეზი გამოასწოროს ხარვეზის დადგენის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული თარიღის შემდგომ შემოტანილი განცხადებები არ განიხილება.

  ორივე სემესტრის დაფინანსება ზემოაღნიშნულ ვადაში წარმოდგენილი მხოლოდ ერთი განცხადების საფუძველზე გაიცემა. გაზაფხულის სემესტრის დაფინანსების მოსაპოვებლად, 2027 წელს ახალი განცხადებების მიღება არ გამოცხადდება.

- **როგორ გაიგებს სტუდენტი დაფინანსდა თუ არა?**

განცხადებაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე სტუდენტი მიიღებს შეტყობინებას დაფინანსების შესახებ.

- **როდის მიიღებს სტუდენტი შეტყობინებას დაფინანსების შესახებ?**

  სტუდენტი დაფინანსების შესახებ შეტყობინებას, სავარაუდოდ, შემოდგომის სემესტრის შემთხვევაში მიიღებს არაუგვიანეს დეკემბრის თვეში, ხოლო გაზაფხულის სემესტრის შეთხვევაში - აპრილის თვეში.

- **რა ოდენობის თანხით ფინანსდება სტუდენტი?**

  სასწავლო წლის განმავლობაში დაფინანსების მაქსიმალური ოდენობაა 1125 ლარი. თუ სტუდენტის მიმდინარე დავალიანება 1125 ლარზე ნაკლებია, სტუდენტი დაფინანსდება არსებული დავალიანების ოდენობით.

- **სასწავლო წლის განმავლობაში რამდენჯერ ფინანსდება სტუდენტი?**

  დაფინანსება გაიცემა სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს ორჯერ, სემესტრულად, ჯამურად ორივე სემესტრში არაუმეტეს 1125 ლარის ოდენობით, თითოეულ სემესტრში არაუმეტეს 562.50 ლარით.

- **ფლობენ თუ არა ინფორმაციას სამსახურში მოქმედი პროგრამის შესახებ უნივერსიტეტები?**

  სამსახურსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, სადაც მოცემულია ინფორმაცია აღნიშნული პროგრამის შესახებ. ასევე, დასაფინანსებელი სტუდენტების, დაფინანსების ოდენობის, ვადებისა და სხვა პირობების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, სამსახური სასწავლო სემესტრის დაწყების წინ, წერილობით აცნობებს უნივერსიტეტებს.